პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 258 (5288)

1974 წ. 28 დეკემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სპორტული წლის ლაურეატები



ლ. ტურიშჩევა



ა. კარპოვი



ვ. ალექსეევი



ვ. ტრეტიაკი



ვ. სოლომინი



პ. ლედნიოვი



გ. კულაკოვა

1974 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში, როსტოველი ლიუდმილა ტურიშჩევა. ასეთია შედეგი ტრადიციული საახალწლო ანკეტისა, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველო სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციასთან ერთად პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკთა შორის.

საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში, ტურიშჩევას გარდა, შევიდნენ (დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით):

2. ანატოლი კარპოვი (ლენინგრადი) — ჭადრაკი.
3. ვასილ ალექსეევი (შახტი) — ძალოსნობა.
4. ვლადისლავ ტრეტიაკი (მოსკოვი) — ჰოკეი.
5. ვასილ სოლომინი (პერმი) — კრივი.
6. პავლე ლედნიოვი (ლვოვი) — თანამედროვე ხუთჭიდი.
7. გალინა კულაკოვა (იჟევსკი) — სათხილამურო სპორტი.
8. ვალერი ხარლამოვი (მოსკოვი) — ჰოკეი.
9. ირინა როდნინა და ალექსანდრე ზაიცევი (მოსკოვი) — ფიგურული ციგურაობა.
10. ფაინა მელნიკი (მოსკოვი) — მძლეოსნობა.

საქდესის კორესპონდენტი ვ. დვორცოვი ტელეფონით დაუკავშირდა დონის როსტოვს, სადაც ლ. ტურიშჩევა ცხოვრობს. სახელგანთქმული ტანმოვარჯიშე ამ დღეებში დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში იაპონიიდან, სადაც საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფთან ერთად იყო.

— მე ვამაყობ, რომ ასეთი პატივი დამდეს, — თქვა ტურიშჩევამ. — გმადლობთ მილოცვისთვის. განვლილი წელი ძალიან დაძაბული და ამასთანავე სასიხარულო იყო. მე წარმატებით დავამთავრე სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში, გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვარნაში კი ზედიზედ მეორედ მოვიპოვე დიდი ოქროს მედალი მსოფლიო ჩემპიონატში. ჩვენი ქალაქის კომკავშირელებმა ალკკ XVII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს, იქ კი დიდი ნდობა გამომიცხადეს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შემიყვანეს.

1975 წლისთვის დიდი გეგმები მაქვს. მინდა ნაყოფიერად ვიმეცადინო ასპირანტურაში (იქ ძალიან საინტერესო თემა მაქვს — „სპორტის ფსიქოლოგია"). მონაწილეობა უნდა მივიღო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში, ევროპის ჩემპიონატში და კიდევ რამდენიმე დიდ შეჯიბრებაში. ვეცდები მოპოვებული პოზიციები არ დავთმო. თანამედროვე ქალთა სპორტულმა ტანვარჯიშმა მთელს მსოფლიოში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. ჩვენ — საბჭოთა ჩემპიონები — ამას განსაკუთრებით ვგრძნობთ სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილი საჩვენებელი გამოსვლების დროს. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ტანვარჯიში — როგორც ქალთა, ისე ვაჟთა — კიდევ უფრო გართულდება და მოთხოვნები შესრულების სიზუსტის მხრივ კიდევ უფრო გაიზრდება. მე იმდენად გატაცებული ვარ ტანვარჯიშით, რომ გულით მინდა დავეხმარო ნორჩ სპორტსმენებს „დიდ სპორტში" გზის გაკაფვაში, გავუზიარო მათ ჩემი ოსტატობის „საიდუმლოება".

ეს რამდენიმე ხანია არა მარტო დამოუკიდებლადაც ვვარჯიშობ, არამედ მეცადინეობებზე ვეხმარები ჩემს მწვრთნელს ვლადისლავ რასტოროცკის. ვავარჯიშებ რამდენიმე გოგონას. მოსწავლეებს ვურჩევ ტანვარჯიშში სცადონ ძალა. თუნდაც ჩემპიონები არ გახდნენ, ჯანმრთელნი და გაბედულნი ხომ გაიზრდებიან.

● რას უსურვებდით თქვენ, ოლიმპიური ჩემპიონი, 1980 წლის ოლიმპიადას?

— მე მონაწილეობა მივიღე ორ ოლიმპიადაში — მეხიკოს და მიუნხენის თამაშებში. ახლაც მღელვარებითა და სიხარულით ვიგონებ იმ ოლიმპიურ დღეებს. იმედი მაქვს, რომ მონრეალის თამაშებშიც გამოვალ. მოსკოვში კი, როგორც ჩანს, მაყურებლის როლში ვიქნები. ძალიან მინდა, რომ ჩვენი დედაქალაქიდან, სპორტის, მშვიდობისა და მეგობრობის ბრწყინვალე დღესასწაულიდან სპორტსმენებმაც და მაყურებლებმაც თავიანთს ქალაქებსა და ქვეყნებში სასიამოვნო შთაბეჭდილებები და მოგონებები წაიღონ. დარწმუნებული ვარ, მოსკოვი თამაშებისთვის სანიმუშოდ მოემზადება.



ვ. ხარლამოვი



ი. როდნინა, ა. ზაიცევი



ფ. მელნიკი

კალათბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

## თბილისის „დინამომ" დაამარცხა „კალევი"

### ამჯერადაც მეორე ტაიმში...

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ტალინი. ტარტუს „კალევისა" და თბილისის „დინამოს" პირველმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „სპორტჰალეში" ამ ბრძოლის სანახავად 5 ათასი მაყურებელი მოვიდა. თამაში მართლაც საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა დინამოელთა კონტრშეტევებიც ხშირად აღწევდა მიზანს. „დინამოს" დაცვას ყველაზე მეტ უსიამოვნებას ტამისტე აყენებდა. იგი შორიდანაც ზუსტად ისროდა და ფარის ქვეშაც ხშირად გადიოდა.

შესვენებამდე ქართველმა კალათბურთელებმა ასე თუ ისე მოაგვარეს დაცვის პრობლემა („კალევმა" ტაიმი მოიგო 3 ქულით — 44:41), ხოლო, როცა განახლდა შეხვედრა, თვითონ გადავიდნენ აქტიურ თამაშზე. მატჩის გარდატეხის მომენტად შეიძლება ჩავთვალოთ 28-ე წუთი, როცა ანგარიში იყო 58:51 „კალევის" სასარგებლოდ. მომდევნო 2 წუთში დინამოელებმა რამდენიმე ეფექტური შეტევა განახორციელეს და ქორქიას, ძიძიგურისა და პულავსკის წყალობით დაწინაურდნენ კიდეც — 59:58.

ერთი წუთის შემდეგ ძიძიგურმა 5 პერსონალური შეცდომის გამო დატოვა მოედანი. მალე მას საკანდელიძეც მიჰყვა, მაგრამ თბილისელებს უკვე ხელთ ეპყრათ ინიციატივა და ბრძოლა ლოგიკურ ფინალამდე მიჰყავდათ.

მატჩის საბოლოო შედეგია 80:77 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" მეორე მატჩიც წააგო ცსკა-სთან. არმიელებმა, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, გადამწყვეტ უპირატესობას შესვენების შემდეგ მიაღწიეს — 98:85 (პირველი ნახევარი კი მხოლოდ 1 ქულით მოიგეს — 47:46).

არმიელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ედეშკო (18) და დიაჩენკო (17), „სტროიტელში" — ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი ტკაჩენკო (16).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ." | 18 | 16 | 2 | 1523—1263 | 16 |
| ცსკა | 16 | 12 | 4 | 1465—1301 | 12 |
| „დ." (თბ.) | 13 | 12 | 1 | 1155—1064 | 12 |
| „დ." (მ.) | 14 | 10 | 4 | 1198—1062 | 10 |
| „ჟალგირ." | 14 | 8 | 6 | 1161—1155 | 8 |
| „კალევი" | 13 | 5 | 8 | 1042—1035 | 5 |
| „სტროიტ." | 14 | 4 | 10 | 1132—1199 | 4 |
| რტი | 16 | 3 | 13 | 1253—1422 | 3 |
| „სტატ." | 14 | 2 | 12 | 1073—1259 | 2 |
| „ურალმ." | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

## ტტტ: თერთმეტი — თერთმეტიდან

ფრუნზე, 26 დეკემბერი. დამთავრდა უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატის I წრე. ტურნირის ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ოქროს მედლების ყველაზე რეალური მაძიებლები — რიგის ტტტ და ლენინგრადის „სპარტაკი": გამარჯვება ლატვიის კალათბურთელებს დარჩათ — 63:47.

სატურნირო ცხრილში I ადგილზეა ტტტ — 11 ქულა (თერთმეტიდან). ლენინგრადის „სპარტაკს" 9 ქულა აქვს. მოსკოვის ოლქის „სპარტაკსა" და ვილნიუსის „კიბირკშტისს" — 8-8 ქულა.

ყველაზე შედეგიანი კალათბურთელის პრიზი (I წრის შედეგების მიხედვით) გადაეცა უ. სემიონოვას, რომელმაც 123 ქულა დააგროვა, საუკეთესო თავდამსხმელად კი აღიარებულია ა. რუპშენე (ვილნიუსი).

## 33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შეადგინა ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია 1974 წლის სეზონის მიხედვით.

მეკარეები: ა. პროხოროვი („სპარტაკი"), ე. რუდაკოვი („დინამო", კიევი), ვ. პილგუი („დინამო", მოსკოვი).

მარჯვენა მცველები: ვ. ტროშკინი („დინამო", კიევი), გ. ლოგოფეტი („სპარტაკი"), რ. ძოძუაშვილი („დინამო", თბილისი).

მარჯვენა ცენტრალური მცველები: მ. ფომენკო („დინამო", კიევი), ნ. ოსიანინი („სპარტაკი"), ვ. ზვიაგინცევი („შახტიორი").

მარცხენა ცენტრალური მცველები: ს. ოლშანსკი („სპარტაკი"), ნ. ხუდიევი (ცსკა), ს. ნიკულინი („დინამო", მოსკოვი).

მარცხენა მცველები: ვ. მატვიენკო („დინამო", კიევი), ვ. ბუტურლაკინი („ტორპედო"), ნ. ვისოკიხი (ცსკა).

მარჯვენა ნახევარმცველები: ვ. ვერემეევი („დინამო", კიევი), ვ. კუზნეცოვი („ზარია"), ა. მინაევი („სპარტაკი").

ცენტრალური ნახევარმცველები: ვ. კოლოტოვი („დინამო, კიევი), მ. მაჩაიძე („დინამო", თბილისი), ო. ზანაზანიანი („არარატი").

მარცხენა ნახევარმცველები: ა. ანდრეასიანი („არარატი"), ე. ლოვჩევი („სპარტაკი"), მ. ანი („ფახთაქორი").

მარჯვენა გარემარბები: ვ. ონიშჩენკო („დინამო", კიევი), ი. ჩესნოკოვი (ცსკა), ლ. იშტოიანი („არარატი").

ცენტრალური თავდამსხმელები: ვ. ნიკონოვი („ტორპედო"), ვ. ფიოდოროვი („ფახთაქორი"), ვ. პავლენკო („დინამო", მოსკოვი).

მარცხენა გარემარბები: ო. ბლოხინი („დინამო", კიევი), ვ. ხაძიპანაგისი („ფახთაქორი"), ვ. კაზაჩონოკი („ზენიტი").

# კონტროლი და შესრულების შემოწმება — წინა პლანზე

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა, კონტროლისა და შესრულების შემოწმების საკითხებს მიეძღვნა. პლენუმმა მოისმინა და განიხილა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ქასოზრივი. მუშაობისა და საორგანიზაციო განყოფილების გამგის ტ. კიკნაველიძის მოხსენება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს IV პლენუმის დადგენილების შესრულება მშდ კომპლექსის დანერგვისა და ნიშნოსანთა მომზადებისთვის", აგრეთვე, ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ზ. ბაჟანოვის ინფორმაცია „განთიადის" ცენტრალური საბჭოს IV და V პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში საბჭოს პრეზიდიუმის საქმიანობის შესახებ".

როგორც ტ. კიკნაველიძემ, ისე ზ. ბაჟანოვმა ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რასაც „განთიადის" ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში, სპორტსმენთა დაოსტატებაში, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებასა და მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში მიაღწიეს.

ითქვა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო წლების გადაწყვეტილებებმა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ახალი გზები დასახა. სუბიექტივიზმის, პროტექციონიზმის, უკონტროლობის, შესრულების შემოწმების უგულებელყოფის წინააღმდეგ ბრძოლამ მეტად სასარგებლო შედეგი მოვცა — იკლო თვალის ახვევის, სიყალბის, მიწერის შემთხვევებმა; გაიზარდა ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების აქტივობა, რის შედეგადაც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში წარმატებები გამრავლდა; ბევრგან შეკეთდა და კეთილმოეწყო სპორტული ბაზები; კოლექტივების სექციებმა მუშაობა მშდ კომპლექსის ნორმატივების შესაბამისად გარდაქმნეს.

ფიზკულტურული საქმიანობის გამოცოცხლება, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მაღალი დონე განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ორგანიზაციებში, რომელთა დირექტორებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კარგად შეიგნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების მნიშვნელობა და მათი ცხოვრებაში გატარებისთვის იბრძვიან. ყოველივე ამან, აგრეთვე, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში „განთიადის" ორგანიზაციებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ განაპირობა, რომ ბევრმა კოლექტივმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულა, „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს კი წლევანდელი გეგმა 7 ნოემბრისთვის უკვე შესრულებული ჰქონდა. მარტო მშდ კომპლექსის ყველა საფეხურის ნორმატივები წლეულს 17300 ფიზკულტურელმა ჩააბარა, რაც გეგმას 1300 კაცით აღემატება.

პლენუმზე ამ მხრივ მოწინავე ორგანიზაციებს შორის დაასახელეს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო", რომელმაც ხუთწლიანი გეგმა 3 წელიწადსა და 8 თვეში შეასრულა, თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკის, საავეჯო გაერთიანება „განთიადისა" და სხვა კოლექტივები.

ნიშნოსანთა მომზადებისთვის კარგად იმუშავეს, აგრეთვე, თბილისის კერამიკული კომბინატის, კიროვის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო ქარხნების, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, გორის, ფოთის, ჭიათურის, ზესტაფონის, გურჯაანის, თელავისა და სხვა რაიონების კოლექტივებმა.

მაგრამ, როგორც პლენუმზე ითქვა, „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს საქმე კიდევ უკეთესად ექნებოდა, ყველა ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, აგრეთვე, საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები ხეირიანად რომ მუშაობდნენ.

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალაში" ფიზკულტურის მეთოდისტ გ. ალაპიშვილის უხეირო მუშაობის შედეგად მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი საქმიანობა ჩაშლილია.

ფაბრიკის 800-ზე მეტი მუშა-მოსამსახურიდან შარშან მშდ კომპლექსის ნორმატივები მხოლოდ თორმეტმა ჩააბარა, წლეულს კი — ჩვიდმეტმა (?!).

სავალალო სურათია სასურსათო მანქანების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ფიზკულტურულ კოლექტივში. დირექციას, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს არ აწუხებთ, რომ მშდ კომპლექსის არც ერთი ნიშნოსანი არ ჰყავთ.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მარნეულის „განთიადის" ფიზკულტურულ ორგანიზაციებში: მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი მივიწყებულია, ბაზები მოუვლელია, ახალი მოედნების აშენებაზე არავინ ფიქრობს. რაისაბჭოს მიერ ცენტრალურ საბჭოში წარმოდგენილ სტატისტიკურ ანგარიშებში გვხვდებოდა მიწერის ფაქტები. მთელი წლის მანძილზე ამ რაიონში 30-მდე მშდ კომპლექსის ნიშნოსანი ძლივს მოამზადეს. ყოველივე ამის გამო იყო, რომ „განთიადის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ჰუსეინოვი სამსახურიდან მოიხსნა.

ტ. კიკნაველიძემ აღნიშნა, რომ უყურადღებობისა და უკონტროლობის შედეგად ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა სათანადო დონეზე ჯერ კიდევ ვერ დადგა კასპის, თელავის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ქარელის, აგრეთვე, თბილისის კალინინის სახელობის სამხმელო მოწყობილობათა ქარხნის, ტყავსაგალანტერეო, ბამბის, № 2 ტრიკოტაჟის, სასკოლო ინვენტარის დამამზადებელი ფაბრიკების ფიზკულტურის კოლექტივებში.

მომხსენებელმა ამხილა ფიზკულტურულ მუშაობაში პროტექციონიზმის მავნე ფაქტები, მაგალითად, მან თქვა, რომ თელავის ძაფსაღებ ფაბრიკაში საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად დანიშნეს არასპეციალისტი თუშიშვილი, რომელიც მანამდე კულტმუშაკის მოვალეობას ასრულებდა. სამწუხაროდ, საწარმოთა დირექციების საქმიანობაში პროტექციონიზმის ამგვარი ფაქტები სხვაგანაც შეიმჩნევა, ეს კი რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობას აფერხებს.

საზოგადოების IV პლენუმის დადგენილების შესრულების შესახებ ლაპარაკის დროს მომხსენებელმა საწარმო-დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაც აღნიშნა. მან თქვა, რომ ახლახან მეტროლოგიის ინსტიტუტის ერთადერთი სპორტული მოედანი ადმინისტრაციის მითითებით დაანგრიეს; ქარხანა „ელექტროვამშვებში" ასევე მოექცნენ კალათბურთის მოედანს, კალათბურთის ფარის კონსტრუქცია კი ნაკუწებად აქციეს; გაპარტახებულია მეტეხის აგურის ქარხნის მოედნები; აგარის შაქრის ქარხანაში საჭიდაო ოთახი საპარიკმახეროდ გადააკეთეს...

ზ. ბაჟანოვის ინფორმაციაში ლაპარაკი იყო იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გაატარა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის განთიადელთა უკეთ მოსამზადებლად.

აღინიშნა, რომ პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში ცენტრალური საბჭოს საქმიანობა რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის ბრძოლას ეთმობოდა. პრეზიდიუმის ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებული იყო მშდ კომპლექსის დანერგვისა და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების საკითხებზე, რესპუბლიკური სპორტკომიტეტის საქმიანობაში შენიშნული სერიოზული ნაკლოვანებების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისთვის ბრძოლაზე. ითქვა, რომ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მთელი ძალები რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის დარაზმა.

პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში პრეზიდიუმმა შეამოწმა და მსჯელობის საგნად გახადა „განთიადის" აფხაზეთის საოლქო, დუშეთის, მარნეულის, კასპის, ონის, ჭიათურის საბჭოების საქმიანობა საზოგადოების სპარტაკიადის I და II ეტაპების შეჯიბრებებში.

ზ. ბაჟანოვმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ემზადებიან, 143 განთიადელი კანდიდატია. მათს მუშაობას, ვარჯიშს კონტროლს უწევს საზოგადოებაში სპეციალურად შექმნილი კომისია.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ი. სანგულია („განთიადის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე), ი. კუსიძე („განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), გ. აბუაშვილი (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" უფროსი ინსტრუქტორი), ა. ტიმოფეევი (სააეჯო გაერთიანება „განთიადის" საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი), ი. მარანჯევი (ელმავალსაშენებელი ქარხნის ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი), ნ. ხიზანიშვილი (საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი), შ. რევიშვილი („განთიადის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე), გ. ნოზაძე (თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი).

ისინი ლაპარაკობდნენ თავიანთი ორგანიზაციების წარმატებებზე და ნაკლოვანებებზე, ბაზების ქსელის მდგომარეობაზე, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების ხელშემშლელ მიზეზებზე, რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისთვის მზადების თაობაზე. კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ბევრგან ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სათანადო ზრუნვასა და დახმარებას არ უწევენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, რის გამოც ფიზკულტურასა და სპორტში, გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მშრომელთა ჩაბმა ფერხდება. ნიშნოსანთა მომზადებას განსაკუთრებით საცურაო ბაზების უქონლობა აფერხებს, წყალსაცავების მოწყობა კი ყველგან არ ხერხდება.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. გოჭორიძე, რომელმაც ილაპარაკა მშრომელთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობაში, საქართველოს და საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადებისთვის მზადებაში „განთიადის" ორგანიზაციების როლსა და ამოცანებზე. მან თქვა, რომ განთიადელებმა ბოლო ხანს მუშაობა კრთგვარად შეანელეს და ეს ნაკლი უახლოეს პერიოდში უნდა გამოსწორდეს.

## სტუდენტური „თეთრი ტრასები"

ამ სეზონში უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების თითქმის 300 ათასი ფიზკულტურელი მიიღებს მონაწილეობას ზამთრის შეჯიბრებებში. უკრაინელ სტუდენტთა შორის სპორტის ზამთრის სახეობები სულ უფრო პოპულარული ხდება. დღეს ეს სახეობები 127-დან 84 ინსტიტუტშია დანერგილი. ამ სეზონში კიეველ სტუდენტთა განკარგულებაშია 12 საზამთრო ბაზა, 8 საციგურაო, 5 ათასამდე წყვილი ციგურა და თხილამური. ინსტიტუტის საუკეთესო სპორტსმენები სსრ კავშირის პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას.

ს. ბელოვი.

კიევი.

## ქარხნის სპარტაკიადა

ხაბაროვსკის ქარხანა „დალდიზელის" ზამთრის სპარტაკიადაში ამ საწარმოს ათასზე მეტი მუშა მონაწილეობს. პროგრამაშია სათხილამურო რბოლა, ციგურაობა, ჰოკეი ბურთით, ტურიზმი და მშდ კომპლექსის სამჭიდი.

„დალდიზელის" მუშებს კარგი სპორტული ბაზა აქვთ: სტადიონი ქარხნის გვერდით, სათხილამურო ტრასა განათებით, სპორტული დარბაზი. საწარმოში მუშაობს ფიგურული ციგურაობის სექცია, შექმნილია „ჯანმრთელობის ჯგუფი".

ა. კრესტინსკი.

ხაბაროვსკი.

## შეჯიბრება მთელი ზამთრის მანძილზე

კრასნოიარსკში მთელ ზამთარს გაგრძელდება შეჯიბრება, რომელსაც სახელად „მშდ კომპლექსის სათხილამურო ტრასა" ჰქვია. ქალაქის ათასობით მცხოვრები უკვე გამოვიდა ასპარეზობის სტარტზე. ყველა, ვისაც კი ექიმის ნებართვა აქვს, ღებულობს ტალონს და არჩეული მარშრუტით (ასაკის მიხედვით) შეჯიბრებას იწყებს 1, 2, 3, 5, 10 კილომეტრზე... დისტანციის გავლის შემდეგ მონაწილენი ტალონებს სპეციალურ ყუთებში უშვებენ. მოთხილამურე, რომელიც ამ „დასვენების დღეების შეჯიბრებებში" 100 კილომეტრზე მეტს „დააგროვებს", სამახსოვრო ჟეტონსა და დიპლომს მიიღებს, ხოლო ის, ვინც ზამთრის განმავლობაში 500 კილომეტრსა და მეტს გაივლის, სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდება.

ა. შჩიპლენკო.

კრასნოიარსკი.

## მეგობრობაც და შეჯიბრებაც...

ყირგიზეთისა და ყაზახეთის გეოლოგები ოცდამეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს სპორტულ სარბიელზე. ტრადიციისამებრ, ტურნირი წლის ბოლოს ტარდება. ამჯერად ასპარეზობა ფრუნზეში გაიმართა. ორი მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშდ კომპლექსის მძლეოსნურ მრავალჭიდში. ექვს სახეობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, სამში უძლიერესნი აღმოჩნდნენ სტუმრები.

ფრუნზე.

## დაუღალავი დღები

ყაზახეთში, ჩიმბულაკის მთას ფერდობებზე, ის იყო დამთავრდა სამთომოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატი სამჭიდში, რომ სპორტსმენებმა თხილამურები ახალი სტარტისთვის მოამზადეს — ორდღიანი შესვენების შემდეგ აქვე დაიწყო საკავშირო პირადი მრავალტურიანი ჩემპიონატის I ტურის შეჯიბრება „ვერცხლის ედელვაისის" პრიზზე. ეს საკავშირო თასის გათამაშებაშიც შედის.

როგორც ცნობილია, საკავშირო თასზე ასპარეზობაც რამდენიმე ეტაპისგან შედგება. ერთ-ერთ ეტაპს შეადგენს „ლელოს" პრიზის გათამაშება, რომელიც მარტში ბაკურიანში ჩატარდება.

ჩიმბულაკში პირველი სახეობა სწრაფდაშვება იყო. სტარტზე 33 ქალი და 67 ვაჟი გამოვიდა. ქალთა შორის ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ბელორუსელმა ნ. პერჩატკინამ („სპარტაკი") — 1.44,3. სამჭიდში სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონი, კიეველი ს. ლებედევა მას 0,7 წამით ჩამორჩა, III ადგილი ხვდა ნატაშას დას ტატიანა პერჩატკინას — 1.45,5.

ვაჟთა შორისაც ბელორუსელმა სპორტსმენმა იმარჯვა. ეს გახლდათ ა. კუზნეცოვი („სპარტაკი") — 1.48,4. მომდევნო ადგილებზე არიან ვ. ციგანოვი (მონჩეგორსკის „ტრუდი") — 1.49,1, და ნ. სნეჟუროვი (ლენინგრადის ოლქის „შრომითი რეზერვები") — 1.49,3.

გუშინწინ ჩატარდა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის. ისევე, როგორც ერთი კვირის წინათ სამჭიდში ასპარეზობის დროს, ახლაც ტრასის მასპინძელმა, ალმა-ათის არმიელმა გ. ჰუსაინოვმა იმარჯვა.

# პლანიორნაიადან კრასნოგორსკში

საბჭოთა კავშირის მოთხილამურეებმა ამ დღეებში ორი დიდი შეჯიბრება გამართეს: ჯერ მოსკოვის მახლობლად, პლანიორნაიას მიდამოებში, ესტაფეტებში „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე იასპარეზეს, მერე კი კრასნოგორსკს მიაშურეს და უძლიერესთა ტურნირში ჩაებნენ.

პლანიორნაიას მიდამოებში ქალები 3×3 კილომეტრზე ცდიდნენ ძალას. ყველას სსრ კავშირის I ნაკრების ტრიომ (ლ. მუხაჩოვა, ნ. სელიუნინა, რ. სმეტანინა) აჯობა — 39.58.

ვაჟთა ესტაფეტაში 4×5 კმ-ზე ქვეყნის ნაკრები არ გამოდიოდა. ამან გამარჯვების მოხვეჭა გაუადვილა „დინამოს" კვარტეტს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები ფ. სიმაშოვი და ვ. ვედენინი, აგრეთვე, ი. იურასოვი და ა. შმიგუნი — 1:15.12.

კრასნოგორსკში პირადი პირველობა ჩატარდა. პირველ დღეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გამარჯვება თანაქალაქელებმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა, სიკტივკარელებმა რ. სმეტანინამ და ვ. როჩევმა დაისაკუთრეს. სმეტანინამ 8 კილომეტრის გარბენას 27.16,4 მოანდომა და ასევე ქვეყნის ნაკრების წევრს ლ. ბარანოვას (კიროვი) ფინიშთან 0,6 წამით მიასწრო.

ვაჟთა შორის 20 კილომეტრზე შეჯიბრებაში როჩევის უპირატესობა აშკარა იყო — 58.34. მოსკოვის არმიელმა ს. საველიევმა მასთან 42 წამი წააგო. მოსკოვის დინამოელები ვედენინი (1:01.13,8) და სიმაშოვი (1:01.18,6) VII და VIII ადგილებს დასჯერდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძიუდოისტები შედეგებს აჯამებენ

ძიუდოისტებმა 1974 წლის სეზონი სსრ კავშირის თასის გათამაშებით დაამთავრეს. როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრებმა ამ ასპარეზობის ფინალში რსფსრ-ს ნაკრებთან წააგო.

გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ მძიმე წონის ათლეტების გ. ონაშვილისა და ვ. ბურცევის ბოლო ბრძოლაში გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა. ონაშვილს, რომელმაც ილეთის ჩატარების დროს მუხლის სახსრის იოგების ტრავმა მიიღო, არათუ ბრძოლა, არამედ ფეხზე დგომაც აღარ შეეძლო..

იმის თქმა, რომ გამარჯვება ახლოს იყო, სულაც არ ამცირებს ვ. ბურცევის ღირსებას. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბურცევი (ჩვენ ამ ორთაბრძოლამდეც ვადევნებდით თვალს მის შეხვედრებს) ჯერ კიდევ არ იყო მზად ქართველი გოლიათისთვის სერიოზული მეტოქეობის გასაწევად, მით უფრო მის დასამარცხებლად. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — გამარჯვება ბურცევს მიეკუთვნა და ჩვენ მხოლოდ ფინალისტები აღმოვჩნდით.

არის კიდევ ერთი აუხსნელი გარემოება, რომელმაც გავლენა მოახდინა გუნდის დაკომპლექტებაზე. საქმე ის გახლავთ, რომ ოქტომბრის დამდეგს (სსრ კავშირის თასის გათამაშება ნოემბერს მოეწყო) ავსტრიისა და კუბის საერთაშორისო ტურნირებისთვის, აგრეთვე, სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად მოსკოვში გაიწვიეს 13 საუკეთესო სპორტსმენი ჩვენი რესპუბლიკიდან. მათგან სამი — შ. ჩოჩიშვილი, თ. ხუბულური და ა. ბარკალაევი, რომლებსაც სსრ კავშირის თასის გათამაშებისთვის ჩვენი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში უნდა დაეკავებინათ ადგილები, შეკრებაზე დროულად არ დაბრუნდნენ, თუმცა მოსკოვშივე იყვნენ გაფრთხილებული. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს: სხვა სახელგანთქმული სპორტსმენები — გ. გოგოლაური, გ. ონაშვილი და ჯ. ნიჟარაძე ხომ ემზადებოდნენ შეკრებაზეო. მართალია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ გ. გოგოლაური ჯერ კიდევ არ იყო სავსებით განკურნებული ძველი ტრავმის შემდეგ და მთელი ძალით ვერ ემზადებოდა. გარდა ამისა, ჩვენ გვინდოდა ასეთ სერიოზულ შეჯიბრებაში გამოგვეცადა ერთ-ერთი პერსპექტიული მოჭიდავე ა. ბარკალაევი. ჯ. ნიჟარაძემ შეკრებაზე მხრის სახსრის ტრავმა მიიღო. ასევე დაშავდა გ. ონაშვილიც, მაგრამ მისი ტრავმა შედარებით მსუბუქი იყო და სპორტსმენი გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს. როგორც ხედავთ, იმ სამი სპორტსმენის შეკრებაზე ყოფნა აუცილებელი იყო.

ასე და ამგვარად, წავაგეთ. მართალია, მინიმალური ანგარიშით, მაგრამ მაინც, მწვრთნელებიცა და სპორტსმენებიც უკმაყოფილონი დარჩნენ შეხვედრათა შედეგებით, თუმცა ბევრმა შეიძლება გვითხრას, თვით საკავშირო თასის გათამაშების ფინალში გასვლაც საპატიოაო. ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ საქართველოს ძიუდოისტთა მიღწევებზე, ჭიდაობის, მით უმეტეს ძიუდოს პოპულარობაზე საქართველოში. დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებისთვის მარტო პოპულარობა და მდიდარი ტრადიციები არ კმარა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველ მოჭიდავეთა წარმატებები სამბოში წარსულ წლებში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, რაც იმან განაპირობა, რომ ჩვენი მოჭიდავეები ბავშვობიდან მიჩვეული არიან ჩოხით ჭიდაობას, სხვებისთვის კი ეს სიახლე იყო. გადიოდა დრო. სამბოს მასობრიობის ზრდამ მთელს საბჭოთა ქვეყანაში ეს უპირატესობაც გააქარწყლა.

დღეს დიდ სპორტში რაიმე წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია სისტემატური და შეუპოვარი შრომის გარეშე. მაგრამ ბევრ ჩვენს მოჭიდავეს ჯერ კიდევ არა აქვს ეს შეგნებული, თუმცა ამ მხრივ გარკვეული პროგრესი მაინც შეინიშნება.

დილით მოჭიდავეებს ახლა უფრო ხშირად ნახავთ სტადიონზე, ხალიჩაზე, ძალოსნობის დარბაზში. მაგრამ ეს ჩვევა ძალიან ნელი ტემპით მკვიდრდება ჩვენი მოჭიდავეების ყოველდღიურ სპორტულ ცხოვრებაში.

განვლილი შეჯიბრება გვაიძულებს ფხიზელი თვალით შევხედოთ გუნდის დაკომპლექტებას და წვრთნის მეთოდიკას. წინ არის სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა. ამიტომ სპორტსმენთა მზადებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის გულმოდგინე ანალიზი აუცილებელია. ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის დრო ჯერ კიდევ გვაქვს, საჭიროა მხოლოდ ვითარების ობიექტური შეფასება.

დღევანდელ წერილში სამბოზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ „წმინდა" ძიუდოისტები ჯერ კიდევ არა გვყავს, ისინი ამ სახეობაში სწორედ სამბოდან მოვიდნენ.

რამდენიმე სიტყვა გუნდის დაკომპლექტებაზე. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით ძიუდოისტთა შეჯიბრებების დებულების თანახმად, გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს 12 კაცი—ორ-ორი სპორტსმენი ყოველ წონით კატეგორიაში. ვინ აცხადებს პრეტენზიას ამ 12 ადგილზე?

მსუბუქ წონაში (63 კგ-მდე) ორი სპორტსმენი გვყავს, რომელთაც შეუძლიათ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა. ესენი არიან შ. ფიცხელაური და ა. ობგაიძე. ფიცხელაურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს წონით რეჟიმს და სისტემატურ მეცადინეობებს. ობგაიძის მიმართ ჯერჯერობით პრეტენზია არა გვაქვს, ოღონდ გვინდა, რომ სპორტსმენმა განაგრძოს კეთილსინდისიერად ვარჯიში. ამ წონით კატეგორიაში მესამე კანდიდატია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ო. ზურაბიანი. მას ბევრი მუშაობა დასჭირდება საიმისოდ, რომ ფიცხელაურსა და ობგაიძეს მხარში ამოუდგეს.

ქვესაშუალო წონაში (70 კგ-მდე) საპრიზო ადგილის რეალური პრეტენდენტია სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ა. წიკლაური. იგი ძალიან შრომისმოყვარე სპორტსმენია, ოღონდ წონითი რეჟიმის დაცვა დასჭირდება. სხვათა შორის, სამ კვირაში წონის ორგზის დაკლებამ ძალზე უარყოფითად იმოქმედა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მის შედეგებზე. ამავე წონით კატეგორიაში II ადგილზე პრეტენზიას აცხადებს სამი ახალგაზრდა მოჭიდავე: ზ. კეთილაძე, ა. ცინცაძე, ა. ნავაძე. ჯერჯერობით სამივეს აკლია დიდ ასპარეზობებში მონაწილეობის გამოცდილება. ეს სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებიან შეჯიბრებებისთვის. დარჩენილ დროში მათ 3-4 ტურნირში მაინც უნდა მიიღონ მონაწილეობა სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად.

საშუალო წონაში (80 კგ-მდე) პერსპექტიულ მოჭიდავეთა ჯგუფს სათავეში უდგას ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გოგოლაური. მან სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს წონით რეჟიმს, ხოლო მისმა „მემკვიდრეებმა" — ა. ბარკალაევმა, ჯ. კბილაშვილმა, დ. ხაბულიანმა, გ. იობიძემ, კ. მაზურიშვილმა ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის სრულყოფა უნდა განაგრძონ.

ქვემძიმე წონის (93 კგ-მდე) ათლეტებიდან რ. ხარშილაძეს, ა. მუზაევსა და თ. ხუბულურს კარგად იცნობენ სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრები. მათ დარჩენილ პერიოდში ძირითადად 1975 წლის მთავარი შეჯიბრებებისთვის მზადებას უნდა მიაქციონ ყურადღება. ამ წონაში ემზადებიან, აგრეთვე, სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობის პრიზიორები ო. ყურაშვილი და ზ. ბახტაძე.

მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში სამი გამოცდილი სპორტსმენი გვყავს — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გ. ონაშვილი, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჯ. ნიჟარაძე. სერიოზული მომზადების შემდეგ სამივეს შეუძლია ოქროს მედლებისთვის ბრძოლა. მართალია, ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, მოასწრებს თუ არა გ. ონაშვილი განკურნებას. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენმა მძიმე წონის ათლეტებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ქვედა კიდურების კუნთებისა და იოგების გამაგრებას. ონაშვილს შეიძლება ტრავმა არც მიეღო, მეტი ყურადღება რომ დაეთმო კროსებისთვის, შტანგით მუშაობისთვის.

მაგრამ ონაშვილი დიდხანს მკურნალობდა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა. ჩვენი აზრით, მისი მაგალითი კარგი გაკვეთილი იქნება მძიმე წონის მოჭიდავეებისთვის და არა მარტო მათთვის.

თავის თავზე ბევრს მუშაობს ახალგაზრდა მოჭიდავე რ. ჭიკაიძე, რომელიც სპარტაკიადის საგზურის მოპოვებისთვის იბრძვის.

როგორც ჩანს, შეიძლება შეიქმნას სირთულე გუნდის დაკომპლექტების მხრივ პირველ ორ წონაში. ჩვენ ძალღონეს არ დავზოგავთ, რომ დარჩენილ დროში ჩამორჩენილ კატეგორიებში მდგომარეობა გამოსწორდეს. ახლა დაგეგმილი გვაქვს მსუბუქი და ქვესაშუალო წონითი კატეგორიების პერსპექტიულ წარმომადგენელთა მონაწილეობა ორ საკავშირო ტურნირში.

რამდენიმე სიტყვა წვრთნის მეთოდიკის შესახებ. მკითხველებისა და სპორტული საზოგადოებრიობისთვის ცნობილია, რომ ჩვენს ნაკრებს კარგი მოჭიდავეების დიდი რეზერვი ჰყავს (გამონაკლისია პირველი ორი წონა). სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში (ჭაბუკთა, ახალგაზრდული, უფროსებისა) ჩვენი რესპუბლიკიდან ოცზე მეტი მოჭიდავე შედის.

ამიტომ ბევრი (და მათ შორის ჩვენც) დარწმუნებული იყო რომ სსრ კავშირის თასს თბილისელები დაისაკუთრებდნენ. მაგრამ, როგორც განვლილმა შეჯიბრებამ გვიჩვენა, გუნდის შემადგენლობაში სახელგანთქმული მოჭიდავეების ყოფნა საკმარისი არ არის. დღეს მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება მხოლოდ საწვრთნელი დატვირთვის მოცულობისა და ინტენსივობის გაზრდით შეიძლება. მზადების ეტაპების მიხედვით დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა იცვლება. დიდ მნიშვნელობას იძენს საწვრთნელი მიკროციკლების შედგენა სპეციალური მზადების ეტაპზე. მაგრამ მიკროციკლებში საწვრთნელი დატვირთვის დაგეგმვისთვის აუცილებელია ვიცოდეთ, რა დონეზე ვარჯიშობენ მოჭიდავეები, ესე იგი წვრთნის რა საშუალებებს იყენებენ, კვირაში რამდენჯერ მეცადინეობენ, როგორია საწვრთნელი დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა.

ამიტომ წლეულს ჩვენ ვცადეთ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა მეცადინეობებზე საწვრთნელი დატვირთვის, აგრეთვე, სპეციალური და საერთო ფიზიკური მომზადებისთვის გამოყოფილი დროის რეგისტრირება.

ანალიზისთვის აღებული იყო ჩვენი სპორტსმენების წვრთნის ხუთი მიკროციკლი (№ 1 და № 2 ცხრ.).

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებისთვის მზადების დროს (№ 1 ცხრილი) წმინდა სამუშაო დრო პირველ და მეორე მიკროციკლებში 202-236 წუთის ფარგლებში მერყეობს. აქედან სპეციალური მზადებისთვის (ტექნიკის სრულყოფა, საწვრთნელი ბრძოლები) გამოყოფილია 107-134 წუთი. ამასთან, საერთო დატვირთვა 830-929 პირობით ერთეულს უდრის. ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების დროს (IV მიკროციკლი) მაჩვენებლები შესაბამისად ასეთია: 551-271-2356. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ნაკრების წევრთა ერთ მესამედზე მეტი ჩაბმულია ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაში, ნათელი გახდება: შეკრებაზე ჩვენი მოჭიდავეები იქ დადგენილი დატვირთვისთვის მზად არ არიან.

სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დროს ეს მაჩვენებლები უახლოვდება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების დროს (III და IV მიკროციკლები) მიღებულ მონაცემებს.

მაგრამ ეს დატვირთვის მოცულობის გარეგნული მხარეა. შინაგან მხარეზე მსჯელობისთვის კი გადავხედოთ, რამდენ დროს უთმობენ მოჭიდავეები სხვადასხვა საპულსო რეჟიმზე მუშაობას. როგორც ცნობილია, სპორტსმენთა მუშაობა დაყოფილია წვრთნის ზონებად.

I ზონა — მაჯისცემის სიხშირე 130 დარტყმამდე წუთში — დასვენების ზონა;

II — მაჯისცემის სიხშირე 150 დარტყმამდე წუთში — აერობული;

III — მაჯისცემის სიხშირე 180 დარტყმამდე წუთში — აერობულ-ანაერობული;

IV — მაჯისცემის სიხშირე 180 დარტყმაზე მეტი წუთში — ანაერობული.

მზადების ეტაპების მიხედვით ამ ზონებში დროის პროცენტული შეფარდება იცვლება. სპეციალური მზადების ეტაპზე დრო ზონებში ასე ნაწილდება: I ზონა — 12-15 პროცენტი, II — 40, III — 40, IV — 5-8 პროცენტი.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ძიუდოში IV ზონისთვის გამოყოფილი დრო მეტია, ვინაიდან, შეჯიბრების წესების თანახმად, მოჭიდავე ერთ დღეს ასპარეზობს და 5-7 შეხვედრას ატარებს.

როგორც № 2 ცხრილიდან ჩანს, I მიკროციკლში, როცა სპორტსმენი უშუალოდ შეჯიბრებისთვის არ ემზადება, დიდი დრო იხარჯებოდა საწვრთნელი ბრძოლისთვის — 20,3 პროცენტი, ხოლო ტექნიკის სრულყოფა დაბალ საპულსო რეჟიმზე ხდებოდა — 7,9 პროცენტი. მეორე და მესამე მიკროციკლებში დატვირთვის განაწილება მზადების ამოცანებს შეესაბამებოდა, მაგრამ მეორე მიკროციკლში მეცადინეობის საერთო დრო საჭიროზე ნაკლები იყო.

IV მიკროციკლში მეოთხე ზონისთვის საჭიროზე ნაკლები დრო დაიხარჯა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ ჩვენ გარდამავალი პერიოდი გვქონდა და სექტემბერში მზადების ახალი ეტაპი დაიწყო. ვითვალისწინებდით. რა, რომ 1975 წლის ძირითადი შეჯიბრებები მაის-ივლისში ჩატარდება, ჩვენ არ შეგვეძლო მოჭიდავეთა მზადების ფორსირება. ამიტომ ამ პერიოდში დაგეგმილი გვქონდა დიდი მოცულობის მუშაობა (№ 1 ცხრილი, IV).

სხვადასხვა მიკროციკლის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა უნდა გაზარდონ მუშაობის მოცულობა მოსამზადებელ პერიოდში და ეცადონ შეჯიბრებათა დროს მუშაობის შემცირებას „დასვენების ზონაში", ესე იგი მაჯისცემის სიხშირის დროს წუთში 130 დარტყმამდე.

მაგრამ არის კიდევ ერთი სერიოზული ნაკლოვანება, რომელიც ხელს უშლის ჩვენი მოჭიდავეების ნორმალურ მზადებას: არა გვაქვს სპეციალური ხალიჩა — ტატამი და დარბაზი საწვრთნელი მეცადინეობისთვის, რბილ ხალიჩაზე მეცადინეობა ხელს უშლის ძიუდოისტის ტექნიკური ოსტატობის სრულყოფას, ვინაიდან შეჯიბრებები ტატამზე ტარდება.

საწვრთნელი ბაზა აუცილებელია, ჩვენ კი პატარა, დახუთულ დარბაზში ვვარჯიშობთ. ეს უარყოფით გავლენას ახდენს როგორც სპორტსმენის ორგანიზმზე, ისე მეცადინეობის ორგანიზაციაზე. აქ უნდა გავიხსენოთ ერთი გარემოება: პოლონელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ 15-20 წუთს დახუთულ გასახდელში ბავშვების ყოფნის შემდეგ ძალიან ეცემა ფიზკულტურის გაკვეთილის გამაჯანსაღებელი ეფექტი.

იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკური სპორტკომიტეტი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაგვეხმარებიან ამ საკითხის მოგვარებაში.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალამდე 7 თვე დარჩა. ჯერ კიდევ არის დრო, რომ ჩვენი მოჭიდავეების მზადებაში არსებული ნაკლოვანებები გამოვასწოროთ და მომავალ დიდ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდეთ.

ზ. მაზიაშვილი,
საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი;

გ. რატიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის დოცენტი.

ცხრილი № 1

**დროისა და საწვრთნელი დატვირთვის დინამიკა სხვადასხვა მიკროციკლში**

| დრო და დატვირთვა მიკროციკლებში | საერთო დრო წუთებში | საერთო ფიზიკური მომზადების დრო (წუთებში) | სპეციალური ფიზიკური მომზადების დრო (წუთებში) | დატვირთვის მოცულობა (პირობით ერთეულებში) |
|---|---|---|---|---|
| I | 202 | 95 | 107 | 830 |
| II | 236 | 102 | 134 | 929 |
| III | 305 | 137 | 168 | 1603 |
| IV | 487 | 233 | 264 | 2111 |
| V | 551 | 280 | 271 | 2356 |

ცხრილი № 2

**წვრთნის დრო სხვადასხვა საპულსო რეჟიმისთვის (პროცენტებში)**

| ინტენსივობის ზონები მიკროციკლებში | დასვენების ზონა | აერობული ზონა | აერობულ-ანაერობული ზონა | ანაერობული ზონა |
|---|---|---|---|---|
| I | 27,6 | 7,9 | 34,2 | 20,3 |
| II | 17,8 | 46,8 | 25,3 | 10,1 |
| III | 13,8 | 9,1 | 58,2 | 18,9 |
| IV | 19,1 | 33,6 | 38,5 | 8,8 |
| ნორმა | 12—15 | 40 | 40 | 5—8 |

# სპორტული ხაშური

„სპარტაკის" რაიონული საბჭოს პირველობაში ფეხბურთელთა ათი გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვა გაზის კონტორის გუნდმა „ნაპერწკალმა". II ადგილზეა „თანამგზავრი" (ავტოსადგური), III — „მედიკი" (სამედიცინო გაერთიანება).

* * *

სოფელ ურთხვაში ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება ზემო ქართლის კოლმეურნეობის ნაკრებმა დაისაკუთრა. II ადგილი ხვდათ ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის მოჭიდავეებს, მესამე იყო ალის საბჭოთა მეურნეობის გუნდი. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ლ. არუთინოვმა, რ. ნადირაძემ, გ. აკოფოვმა, კ. ხარაიშვილმა (ყველა — ზემო ქართლი), ნ. ქურდაძემ, უ. ლონდაძემ (ორივე — ქვიშხეთი), ჯ. სულაბერიძემ (ტკოცა) და ჯ. ნოზაძემ (ფლევი).

* * *

ხცისის კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა მოსავლის აღებას მიუძღვნეს სპორტული დღესასწაული, რომელზეც შრომისა და სწავლის მოწინავეებმა მოიყარეს თავი. ზეიმი ახლად მოწყობილ ფეხბურთის მინდორზე და ფრენბურთის მოედანზე ჩატარდა. მონაწილეობდნენ რესპუბლიკური და რაიონული პირველობების პრიზიორები თ. ძამანაშვილი, გ. ჯიქურაშვილი და სხვები. დღესასწაულმა სოფლის მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

* * *

ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ ქალაქის საცურაო აუზზე ჩაატარა მოცურავის დღე. მოსწავლეებმა გ. ნოზაძემ და გ. მჭედლიძემ მშდ კომპლექსის პირველი საფეხურის ნორმატივები ჩააბარეს, ნ. კვინიკაძემ და თ. ბერძენიშვილმა — მეორე, ხოლო ა. და გ. ბერძენიშვილებმა — მესამე საფეხურისა.

* * *

სურამის მინის ტარის ქარხანაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელ ჯგუფში 450 კაცია ჩაბმული. დღეისთვის ყველა ნორმატივი 197 მშრომელს აქვს ჩაბარებული.

* * *

საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის შიდასაკოლექტივო ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვა საქვაბე საამქროს კალათბურთელთა ნაკრებმა. ფეხბურთშიც 12 გუნდი ასპარეზობდა. ტურნირი ორ წრედ ჩატარდა და ყველას ელექტროსაამქროს კოლექტივმა აჯობა.

ზ. მოსეშვილი.
(ჩვენი კორ.).



## საბჭოს მორიგი ღონისძიება

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში ჩატარდა მშდ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ა. გიორგობიანის, ავჭალის შუშის ქარხნის მეთოდისტის ა. მელნიკოვის, თბილისის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებლის გ. დოლენჯაშვილის, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის გ. შავყულაშვილის, თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის ჯ. მორგოშიას და „საქსახწყალპროექტის" მეთოდისტის თ. გურაშვილის ინფორმაციები წლეულს მათს ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ.

ა. გიორგობიანმა განსაკუთრებით აღნიშნა ამ მხრივ სპორტული კლუბების „ივერიის", „ფეიქრის", „ფოლადის", „კოლხიდის", „უშბისა" და სხვა ფიზკულტურის კოლექტივების კარგი მუშაობა. მან თქვა, რომ ამ კოლექტივებში ფიზკულტურულ მუშაობას ხელს უწყობენ დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" (მეთოდისტი გ. ალაპიშვილი), საავეჯო ექსპერიმენტული ქარხნის (მეთოდისტი ი. გორხელაშვილი) და №3 წისქვილკომბინატის (მეთოდისტი არ ყავთ) ფიზკულტურის კოლექტივებზე. ამ ორგანიზაციებში მშდ კომპლექსი მივიწყებულია.

ფიზკულტურის მეთოდისტებმა თავიანთს ინფორმაციებში განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ცურვაში ნორმატივების ჩაბარების ხელშემშლელ მიზეზებზე, აღნიშნეს, რომ აუზების გამო ცურვის სწავლების საკითხი ბევრგან ძალიან მტკივნეულად დგას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ „საქსახწყალპროექტის" ინსტიტუტის ფიზკულტურის კოლექტივში მხოლოდ [illegible] თავის წინათ გაირკვა, თუ რომელ [illegible] ხელმძღვანელობით სპორტულ ორგანიზაციას ეკუთვნის მათი კოლექტივი. ამან თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა ინსტიტუტში როგორც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე, ისე საერთოდ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე.

სხდომამ დაამტკიცა მშდ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს 1975 წლის სამუშაო გეგმა, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკაში კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გაუმჯობესებისთვის.

**ნ. მესხი,**
მშდ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

# სსრ კავშირის რეკორდები

მდგომარეობა 1974 წლის 29 დეკემბრისთვის

## მძლეოსნობა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| | | **ვაჟები** | |
| რბენა | | | |
| 100 მ | 10,0 | ვ. საპეია (გომელი) | 1968 |
| | 10,0 | ვ. ბორზოვი (კიევი) | 1969 |
| | 10,0 | ა. კორნელიუკი (მოსკოვი) | 1973 |
| 200 მ. | 20,0 | ვ. ბორზოვი (კიევი) | 1972 |
| 400 მ | 45,9 | ა. ბრატჩიკოვი (მოსკოვი) | 1969 |
| 800 მ | 1.45,3 | ე. არჟანოვი (კიევი) | 1972 |
| 1500 მ | 3.37,8 | ი. ივანოვი (მოსკოვი) | 1972 |
| | 3.37,8 | ვ. პანტელეი (ხარკოვი) | 1973 |
| 5000 მ | 13.29,8 | მ. ჟელობოვსკი (მინსკი) | 1973 |
| 10000 მ | 27.56,4 | რ. შარაფეტდინოვი (ლენინგრადი) | 1971 |
| მარათონი (მიღწევა) | 2:11.32,0 | ვ. ბუზროვი (მინსკი) | 1972 |
| ესტაფეტა | | | |
| 4×100 მ | 38,5 | სსრ კავშირის ნაკრები | 1972 |
| 4×400 მ | 3.30,0 | სსრ კავშირის ნაკრები | 1972 |
| თარჯრბენი | | | |
| 110 მ | 13,6 | ვ. მიასნიკოვი (მინსკი) | 1972 |
| 400 მ | 49,1 | ვ. სკომოროხოვი (ვოროშილოვგრადი) | 1968 |
| 3000 მ წინაღობებით | 8.22,2 | ვ. დუდინი (კაუნასი) | 1969 |
| ხტომა | | | |
| სიმაღლეზე | 228 | ვ. ბრუმელი (მოსკოვი) | 1963 |
| სიგრძეზე | 835 | ი. ტერ-ოვანესიანი (მოსკოვი) | 1967 |
| სამხტომი | 17,44 | ვ. სანეევი (თბილისი) | 1972 |
| ჭოკით | 541 | ი. ისაკოვი (სვერდლოვსკი) | 1973 |
| ტყორცნა | | | |
| ბადრო | 65,22 | ბ. აბაპოვი (სვერდლოვსკი) | 1974 |
| შუბი | 93,80 | ი. ლუსისი (რიგა) | 1972 |
| ურო | 76,66 | ა. სპირიდონოვი (ლენინგრადი) | 1974 |
| ბირთვი | 21,70 | ა. ბარიშნიკოვი (ლენინგრადი) | 1974 |
| სპორტული სიარული (მიღწევა) | | | |
| 20 კმ | 1:25.19,0 | გ. აგაპოვი (სვერდლოვსკი) | 1972 |
| 50 კმ | 3:55.36,0 | გ. აგაპოვი (სვერდლოვსკი) | 1965 |
| ათჭიდი | 8454 | ნ. ავილოვი (ოდესა) | 1972 |
| | | **ქალები** | |
| რბენა | | | |
| 100 მ | 11,1 | ლ. სამოტიოსოვა (ბრიანსკი) | 1968 |
| | 11,1 | ლ. მასლაკოვა (მოსკოვი) | 1974 |
| 200 მ | 22,7 | მ. სიდოროვა (ლენინგრადი) | 1973 |
| 400 მ | 51,22 | ნ. ილინა (მოსკოვი) | 1974 |
| 800 მ | 1.58,7 | ნ. საბაიტე (ვილნიუსი) | 1972 |
| 1500 მ | 4.01,4 | ლ. ბრაგინა (კრასნოდარი) | 1972 |
| 3000 მ | 8.52,14 | ლ. ბრაგინა (კრასნოდარი) | 1972 |
| ესტაფეტა | | | |
| 4×100 მ | 43,4 | სსრ კავშირის ნაკრები | 1972 |
| 4×400 მ | 3.31,9 | სსრ კავშირის ნაკრები | 1972 |
| თარჯრბენი | | | |
| 100 მ | 13,0 | ნ. ლებედევა (მოსკოვი) | 1974 |
| 200 მ | 26,6 | მ. ნიკიფოროვა (ლენინგრადი) | 1970 |
| | 26,6 | ლ. კონონოვა (ალმა-ათა) | 1971 |
| | 26,6 | ტ. ანისიმოვა (ლენინგრადი) | 1972 |
| ხტომა | | | |
| სიმაღლეზე | 188 | ა. ლაზარევა (მოსკოვის ოლქი) | 1971 |
| სიგრძეზე | 673 | ტ. შჩელკანოვა (ლენინგრადი) | 1966 |
| ტყორცნა | | | |
| ბადრო | 69,90 | ფ. მელნიკი (მოსკოვი) | 1974 |
| შუბი | 63,96 | ე. ოზოლინა (რიგა) | 1973 |
| ბირთვი | 21,45 | ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადი) | 1973 |
| ხუთჭიდი | 4776 | ნ. ტკაჩენკო (დონეცკი) | 1974 |

# საჭიროა მეტი მონდომება

საჩხერეში ბევრი რამ გაკეთდა დაბის კეთილმოწყობისთვის, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტს ჯერჯერობით მაინც არაფერი ეშველა.

1972 წელს საჩხერის ხეივანში ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა დაიწყო. გაკეთდა ფეხბურთის მინდორი, რისთვისაც მოსკოვიდან სპეციალისტიც კი ჩამოიყვანეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდებს გამოუცხადეს, სპორტული ბაზების მშენებლობა 1976 წლისთვის გადაიდოო.

საჩხერეში ძალიან უყვართ მძლეოსნობა და ძალოსნობა. ძალოსნებს ეს ერთი წელია ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ე. დვალი ავარჯიშებს. მეცადინეობამ კარგი ნაყოფი გამოიღო: თ. მაისურაძემ და თ. აბრამიშვილმა საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში იუნიორებს შორის I ადგილები დაიკავეს.

მძლეოსნებს სავარჯიშო ადგილი არა აქვთ. ორიოდე სკოლას თუ გააჩნია პრიმიტიული სარბენი ბილიკები და ტყორცნის სექტორები. მიუხედავად ამისა, საჩხერელი მძლეოსნები გულს არ იტეხენ. ოსტატობის კანდიდატი თ. ჰიტაძე „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე რბენაში. პერსპექტიული მძლეოსნები არიან ვ. ბერიშვილი და ა. კაპანაძე.

ახლახან რაიონში გაიხსნა თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რომელსაც სათავეში სპორტის ოსტატი ი. ქიმაძე ჩაუდგა.

რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობას შეჯიბრებაში გამოჰყავს გუნდები ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ სპორტსმენები მოუმზადებელი არიან. ტურნირებში მათი მონაწილეობა მხოლოდ მოვალეობის მოხდაა.

რაიონის სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობენ ჭალის, საირხის, ჩიხის ახალგაზრდა კოლმეურნეები, საკონსერვო ქარხნისა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, მაგრამ საჭიროა მეტი მონდომება, რომ რაიონში სპორტული ცხოვრება სათანადო დონეზე იდგეს.

**ვ. ბარჯაძე,**
სპორტის ოსტატი.

საჩხერე.




### ახალი კრუიფი?

როგორც ჰოლანდიის I ლიგის კლუბ „ნიიმენგენის" მწვრთნელი ვისერი აცხადებს, მან ევროვნული ფეხბურთისთვის იპოვა ახალი კრუიფი. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჰოლანდიელთათვის, ვინაიდან თვით კრუიფმა განაცხადა, რომ აღარ ითამაშებს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

„ახალი კრუიფი" მხოლოდ 20 წლისაა, მას იან პეტერსი ჰქვია. თამაშობს ცენტრალურ თავდამსხმელად და სტილითაც ძალიან ჰგავს კრუიფს. პეტერსით ძალიან დაინტერესდნენ „აიაქსი", „ფეიენოორდი" და ბელგიის „ანდერლეხტი".

როგორც ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა კნობელმა გამოაცხადა, პეტერსს გამოსცდის პირველივე მატჩში, რომელშიც მონაწილეობის მიღებას ვერ შეძლებს კრუიფი: მას ბოლო ხანებში ერთობ ძნელად ათავისუფლებს ნაკრებისთვის ესპანეთის „ბარსელონა".

### 3 თვით შეისვენებს

ინგლისის ნაკრების ცნობილ ფეხბურთელს ჰანტერს ბედი არ წყალობს. შარშან მან ფეხი მოიტეხა, კარგა ხანს იმკურნალა, შემდეგ კი „ლიდს იუნაიტედის" სათადარიგო შემადგენლობაში მოუხდა თამაში. ჰანტერმა რის ვაივაგლახით დაიბრუნა ადგილი „ლიდსშიც" და ინგლისის ნაკრებშიც, მაგრამ ამას წინათ „ლიდს იუნაიტედისა" და „დოჟას" (უიპეშტი) შეხვედრისას ჩემპიონთა თასზე ისევ მიიღო ტრავმა.

ჰანტერს, ექიმების დასკვნით, მუხლისთავის რთული ოპერაცია მოელის და 3 თვით მაინც უნდა გამოეთხოვოს ფეხბურთს.

### მწვრთნელები ჩემოდნებზე სხედან

ლონდონის ცნობილმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" გამოაქვეყნა იმ ცნობილ სპეციალისტთა სია, რომლებსაც ამ მოკლე ხანში დაატოვებინეს კლუბები.

წარსულში დიდმა ფეხბურთელმა დი სტეფანომ ლისაბონის „სპორტინგში" მხოლოდ 40 დღე გაძლო. იუგოსლავიელი ვიდინიჩი ზაირის ნაკრებში ცამდე აჰყავდათ, ამ ქვეყნის უმაღლესი ორდენითაც დააჯილდოვეს, მაგრამ ბოლოს მაინც მოხსნეს. ჰაიტის ნაკრების მწვრთნელი ტასი სამშობლოში დაბრუნებისთანავე გაათავისუფლეს და საქმე ისე წავიდა, რომ იგი კარგა ხანს სახლშიც ვერ შედიოდა აბეზარი გულშემატკივრების შიშით. იგივე დაემართა ბრაზილიელ ზაგალოს, იტალიელ ვალკარეჯის, არგენტინელ კაპს, ურუგვაელ პორტას, ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელ რაშიჩს (იუგოსლავია).

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ მიუნჰენის „ბაიერნმაც" დაარღვია კონტრაქტი მწვრთნელ ლატეკთან.

### ბერნარდინის განცხადება

როგორც იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, 68 წლის ბერნარდინიმ განაცხადა, მისი გუნდი თანდათანობით გაახალგაზრდავდება. ბერნარდინიმ თქვა, რომ ახლა ნაკრებში პოზიცია განაღდებული აქვს განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის მხოლოდ 4 მონაწილეს: მეკარე ძოფის (რომელიც ნაკრებში 1968 წლიდან თამაშობს), მცველ სპინოზის, ნახევარმცველ კაუზიოს და თავდამსხმელ ბონინსენიას.

ყველა დანარჩენ ადგილზე დიდი კონკურენციაა. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ნაკრებს საბოლოოდ გამოეთხოვნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან მცველი ბურგნიჩი, ნახევარმცველები მაცოლა და რივერა, თავდამსხმელი რივა.

# ვინ მოიპოვებს თასს?

გრძელდება სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასების მორიგი გათამაშება, რომელმაც უკვე რამდენიმე ეტაპი განვლო და როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში ლიდერებიც დაასახელა.

ამას წინათ ზალბახის (ავსტრია) მახლობლად გამართულ სწრაფდაშვების 2700-მეტრიან ტრასაზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობა 650 მეტრი იყო, ქალები ასპარეზობდნენ. ოლიმპიური ჩემპიონი მ. ნადიგი (შვეიცარია) ბრწყინვალედ დაეშვა. მისი შედეგი — 1.36,49 დიდხანს უცვლელი იყო. დაეშვა ნადიგის ყველა საშიში მეტოქე, მათ შორის მსოფლიო თასის მფლობელი ა.-მ. პრიოლიც (ავსტრია), მაგრამ ლიდერის მაჩვენებლის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. ოლიმპიური ჩემპიონი გამარჯვებას ზეიმობდა. სწორედ ამ დროს სტარტი აიღო 19 წლის ამერიკელმა ს. ნელსენმა. ამ უკანასკნელმა წლეულს არაერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სახით თასის მაძიებლებს ღირსეული მეტოქე ჰყავთ. ნელსენმა მთელი ტრასა უშეცდომოდ მეტად ეკონომიურად გაიარა და, როცა ფინიშთან მიიჭრა, წამმზომებმა საუკეთესო დრო (1.36,26) აღნუსხეს.

III ადგილი დაიკავა რ. მიტერმაიერმა (გფრ) — 1.37,0.

პრიოლი ამ დისტანციაზე VII ადგილს დასჯერდა — 1.37,43, მაგრამ თასის წლევანდელ გათამაშებას მაინც იგი ლიდერობს — ახლა მას 69 ქულა აქვს. II ადგილზეა ნელსენი — 56 ქულა, III — მიტერმაიერი.

ამ დღეებში ვაჟები მადონა და კამპოლიონის (იტალია) ტრასაზე სლალომსა და გიგანტურ სლალომში ასპარეზობდნენ. სპეციალურ სლალომში გაიმარჯვა ი. სტენმარკმა (შვეცია). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტრასის მასპინძლები დ. კიეზა და ფ. რადიჩი. გიგანტური სლალომი მოიგო გ. გროსმა (იტალია) — 3.05,38. ამერიკელი გ. ჯონსი მას 0,7 წამით ჩამორჩა. III ადგილი წილად ხვდა ტ. პიეტროჯოვანის (იტალია) — 3.06,68. მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი გ. ტონი (იტალია) ამ დისტანციაზე მეხუთე იყო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ავსტრიელები საგრძნობლად დაწინაურდნენ. მათ 319 ქულა აქვთ. შემდეგ მოდიან იტალიელები — 138, გფრ-ის სამთომოთხილამურეები — 100, ფრანგები — 84, აშშ-ს სპორტსმენები — 63, შვედები — 45, შვეიცარიელები — 58, ნორვეგიელები — 24, კანადელები — 14.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

**29 დეკემბერს**
ალპიური კლუბის შენობაში ჩატარდება ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო პლენუმი.
დასაწყისი 11 საათზე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მეზანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.